პელაგია ჯუღელი

ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
FH Joanneum გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ავსტრია

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, გრაცში გატარებული სემესტრი იყო გზა, რომელმაც ჩემს პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. სწავლა მრავალკულტურულ გარემოში, განსხვავებული გამოცდილებისა და ხედვების მქონე ლექტორებთან და სტუდენტებთან, ჩემთვის იქცა შესაძლებლობად, ბიზნესის სფეროს თეორია რეალურ კონტექსტში შემეგრძნო.

პრაქტიკული და ინტერაქტიული ლექციები, საერთაშორისო გუნდებთან მუშაობა და აკადემიური გამოწვევები დამეხმარა გამემყარებინა ბიზნესისთვის გადამწყვეტი უნარები: გუნდის მართვა, სტრატეგიული აზროვნება და ეფექტური კომუნიკაცია.

გრაცში გატარებული სემესტრი არ იყო მხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართვა და ცოდნის დაგროვება, ეს იყო ყოველდღიური აღმოჩენების პერიოდი, როცა საკუთარი თავი თავიდან გავიცანი. დამოუკიდებელი ცხოვრება, საკუთარ გადაწყვეტილებებზე სრული პასუხისმგებლობის აღება და უცხო გარემოში ადაპტირება გახდა ჩემი ყოველდღიურობა — გამოცდილება, რომელმაც საკუთარ შესაძლებლობებში მეტი თავდაჯერებულობა შემმატა.

ამ სემესტრის ყველაზე ფასეული ნაწილი, უდავოდ, ადამიანები იყვნენ — სტუდენტები მთელი მსოფლიოდან, რომლებიც მალევე იქცნენ ჩემთვის უცხო ქალაქში სახლად. მათთან ერთად გატარებულმა საღამოებმა, საერთო სიხარულმა, მოგზაურობამ, მცირე სირთულეებმა და გულწრფელმა საუბრებმა ჩემზე გაცილებით ძლიერი გავლენა მოახდინა,

ვიდრე სიტყვებით შეიძლება გადმოვცე. ამ კავშირებმა მასწავლა, როგორ იქცევა ყოველდღიურობა ისეთ გამოცდილებად, რომელიც წასვლის შემდეგაც შენს ნაწილად რჩება.

გრაცი ჩემთვის არ არის უბრალოდ ქალაქი, სადაც ერთი სემესტრი გავატარე — ეს არის ადგილი, სადაც შევიძინე ცოდნა, მეგობრები და გამოცდილება, ვიპოვე პასუხები საკუთარ თავზე, მიზნებსა და იმ ღირებულებებზე, რომლებიც დღეს ჩემი გზის მიმართულებას განსაზღვრავენ. იქ გატარებული დრო გახდა ჩემი ხედვის, რწმენისა და მომავლის ინსპირაცია.